



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080134620862119

№ 1473

14 / მარტი / 2019 წ.

**ი.მ. ედუარდ საპარიანის გაფრთხილების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტი;

**ტენდერის ნომერი:** NAT170010299;

**შესყიდვის ობიექტი:** 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

**მიმწოდებელი:** ი.მ. ედუარდ საპარიან (პირადი №07001010982);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 1 თებერვალს წარმოდგენილ იქნა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1 თებერვლის № 595/13 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №1198), რომლითაც სააგენტოს ეცნობა ი.მ. ედუარდ საპარიანის (პირადი №07001010982) მიერ NAT170010299 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2017 წლის 12 ოქტომბრის №91 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ი.მ. ედუარდ საპარიანს გაეგზავნა შეტყობინება მის შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ სააგენტოსთვის ცნობილ მისამართზე – ახალქალაქის მუნიციპალიტეტი 0700, სოფ. კულიკამი, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე [saaryan.1974@mail.ru](mailto:saaryan.1974@mail.ru). წერილი ადრესატებს ვერც ერთი მეთოდით ვერ ჩაბარდა. მიმწოდებლის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სააგენტოს ვებგვერდის მეშვეობით, 2019 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნდა საჯარო შეტყობინება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და მიმწოდებელს განესაზღვრა ხუთი სამუშაო დღე განმარტების წარმოსადგენად. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2017 წლის 12 ოქტომბრის № 91 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 ივლისამდე, უნდა შეესრულებინა სოფელ კუმურდოს საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის მოასფალტების, სკოლამდე მონოლითური რკინაბეტონის მოწყობისა და სკოლამდე ლობის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 247 477 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 30 აგვისტო. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოიწურა 2017 წლის 12 ოქტომბრის № 91 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

### 3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

### 4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2017 წლის 30 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT170010299 ელექტრონული ტენდერი მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (CPV45200000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2017 წლის 28 სექტემბრის №73-3 სხდომის ოქმით ი.მ. ედუარდ საპარიან (პირადი №07001010982) გამოვლინდა გამარჯვებულად, ხოლო 2017 წლის 4 ოქტომბრის №73-4 სხდომის ოქმით იგი მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2017 წლის 12 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა № 91 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 13 ნოემბრის ჩათვლით, უნდა შეესრულებინა სოფელ კუმურდოს საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის მოასფალტების, სკოლამდე მონოლითური რკინაბეტონის მოწყობისა და სკოლამდე ღობის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 247 477 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2017 წლის 13 დეკემბერი.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული 2017 წლის 10 ნოემბრის, 7 დეკემბრის, 2018 წლის 29 მაისისა და 29 ივლისის შეთანხმებებით, სამუშაოების შესრულების ვადა, საბოლოოდ, გაიზარდა 2018 წლის 31 ივლისამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2018 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

4.5. მიმწოდებელმა შეასრულა 147 082,26 ლარის ღირებულების სამუშაოები (სრული მოცულობის 59%), რაც დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული 2017 წლის 18 ოქტომბრისა და 30 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტებით.

4.6. 2019 წლის 21 იანვრის № 1 ოქმიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელს შესასრულებელი ჰქონდა 100 395 ლარის ღირებულების სამუშაოები.

4.7. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოიწურა 2017 წლის 12 ოქტომბრის №91 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

### სამოტივაციო ნაწილი

### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ი.მ. ედუარდ საპარიანს უნდა მიეცეს გაფრთხილება.

### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2017 წლის 12 ოქტომბრის №91 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.


7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სააგენტო ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებას (სრული მოცულობის 59%). ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, ი.მ. ედუარდ საპარიანის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

### სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. ი.მ. ედუარდ საპარიანს (პირადი №07001010982) 2019 წლის 15 მარტს მიეცეს გაფრთხილება.
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე